პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
შაბათი, 6 სექტემბერი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 591 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სავედე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

არავითარი შებრალება და პატიება ხალხის მოსისხლე მტერთ თავადებს, აზნაურებს, მღვდლებს და ბერებს
ამ უჭკუო ამბავს გახრწნილი მენშევიკების პარტიისას, ზიზღი ქალების და ბავშვების ამწიოკებელთ
გაუმარჯოს წითელ ჯარს--რევოლიუციის წითელ არწივებს!

თავად კოტე ანდრონიკაშვილის და ჯავახიშვილის დაპატიმრება.

შიო-მღვიმის მონასტერში დაპატიმრებული იქმნენ ბანდიტურ გამოსვლების მომწყობნი, პარიტეტულ კომიტეტის თავმჯდომარე თავადი კოტე ანდრონიკაშვილი და მისი მოადგილე ამ სამარცხვინო თანამდებობაზე იასონ ჯავახიშვილი.

ორივე თავადი დაპატიმრებულ იქმნენ გაქცევის წინ. მათ აღმოაჩნდათ რამოდენიმე ათასი ჩერვონული მანეთი და ოქროს ფრანგული მარკები.

პური არ ქონდათ, მაგრამ სოფლელების მიწვდილი ვაშლებით იკვებებოდენ.

ასე ამბობს თავის საუბარში ჩვენს თანამშრომელთან ქართული ჯარის № ნაწილის უფროსი.

ეს ამბავი, როგორც საუბრიდანაც სჩანს, სამეგრელოში იყო.

წითელ-არმიელების განცხადება: „ჩვენ ვაშლებითაც გავიტანთ თავსო“ ბევრ რამეს ნიშნავს.

ასეთი სულგრძელობა და გმირული მოქმედების გამოჩენა სამხედრო ნაწილების მიერ აიხსნება სწორეთ იმ ვერაგობით, რომელიც მენშევიკების მეთაურობით და ხელმძღვანელობით ჩაიდინა ყოფილმა თავადობამ და გაკრეჭილმა სამღვდელოებამ.

საქმე ის არის, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი კარგა ხანია გამოერკვა. მან დღეს აშკარად იცის, თუ ვინ არის მისი მტერი და მოყვარე. წითელი ჯარიც, როგორც ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ქართველი მშრომელი ხალხისა, ნათლად არის გარკვეული თავის დანიშნულებაში.

და აი სწორედ ამიტომ არის ის თავდავიწყება, რომელიც ჩვენ უკვე გვქონდა მოთავსებული გუშინდელ №-ის საუბარში ჩვენი თანამშრომლისა № ნაწილის უფროსთან.

არსად, სადაც კი მოხდა ეს უჯიათო „გამოსვლები“, მასში მონაწილეობას არ ღებულობდა არც ერთი შეგნებული მოქალაქე, არც ერთი მუშა და არც ერთი გლეხი.

„აჯანყებულებში“ ყველგან ვაჭრები, მიკიტნები, მღვდლები და მათი შვილები ღებულობდენ მონაწილეობას. „გამოსვლები“ ხდ[illegible] იქ, სადაც უფრო მეტია თავად-აზნაურობა ან ქურდ-ბაცაცები.

სოფლის გლეხობა შეშინებული ყაჩაღების მიერ გავრცელებული ჭორებით პირველ ხანებში სიჩუმით უპასუხებს.

მაგრამ ყაჩაღების „ნეტარების“ წუთი დიდხანს ვერ ატანს.

ჩქარა ევლინებათ მათ რისხვა წითელი ხიშტის და ადგილობრივი გლეხობაც კეტებით მისდევს მტერს.

მშრომელი გლეხკაცობა საკუთარი ძალით, ქართული წითელი ჯარის და ყველა პატიოსანი მოქალაქის დახმარებით ინთავისუფლებს თავს.

აი ასე სამარცხვინოთ თავდება მენშევიკების ახალი ვერაგობა.

მშრომელი ხალხი მოითხოვს მათ სასტიკად დასჯას.

ეს ასეც უნდა იყოს.

ხალხის მტანჯველნი პატიების და შენდობის ღირსნი არც იყვენ და არც არიან.

პირველი და მეორე ქართულ დივიზიის ყველა წითელ არმიელებს, მეთაურებს და პოლიტშემადგენლობას!

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ რამოდენიმე დღის წინ ჩვენ გავხდით მოწამე გახრწნილ მენშევიკური პარტიის მორიგი ავანტიურისტული გამოსვლისა. თავად-აზნაურების და ვაჭრების შვილებისაგან შემდგარი ბანდების საშვალებით მენშევიკური პარტია შეეცადა მუშურ-გლეხური ხელისუფლების ჩამოგდებას და ბურჟუა-მემამულეების ბატონობის აღდგენას.

თავისი ავანტიურით მენშევიკებმა კიდევ ერთხელ საქვეყნოდ გამოაშკარავეს მთელი თავისი კონტრრევოლიუციონური მოღალატური ბუნება.

ჩვენ ყოველთვის და მუდამ ვლაპარაკობდით, რომ მენშევიკური პარტია მშრომელთა ხალხის დაუძინებელი მტერია, და მდიდართა კლასის უერთგულესი მონა-მორჩილი.

მენშევიკები არას დროს არ გამოხატავდა მუშათა კლასის ინტერესებს. პირიქით ის წვრილ ბურჟუაზიის და შეძლებულთა სულისკვეთების და მისწრაფებათა საუკეთესო გამომხატველი იყო.

ამის საუკეთესო მტკიცებაა მენშევიკური პარტიის მოღალატური მოღვაწეობა დღიდან მათი გაბატონებისა საქართველოში ვიდრე დღემდი.

თავისი სამი წლის ბატონობით მენშევიკებმა უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანეს საქართველოს მშრომელთა მდგომარეობა.

მენშევიკების საზრუნავ საგანს შეადგენს—მართველი თავად-აზნაურების და ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა. მთელი მათი მოქმედება და მუშაობა იყო მიმართული ბურჟუაზიის და მემამულეების ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობის განმტკიცებისაკენ. არც ერთი ნაჭერი მიწა არ მიუღიათ გლეხებს, არც ერთი ქარხანა არ შეადგენდა მუშების საკუთრებას.

სოფელში ძველებურად ბატონობდა თავადი—მემამულე, ხოლო ქალაქში კი ბურჟუა—კაპიტალისტი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე მენშევიკები ატყუებდენ მუშებს და გლეხებს, საქმით კი უმაგრებდენ წელს ბურჟუაზიას.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ბოლო ელება მენშევიკური პარტიის უპასუხისმგებლო ბატონობას საქართველოში. კომუნისტური პარტია და მუშურ-გლეხური ხელისუფლება მტკიცე ხელებით შეუდგა მუშებისა და გლეხების მოთხოვნილებების და ინტერესების დაკმაყოფილებას.

მიწები ჩამოერთვა მემამულეებს, გადაეცა მშრომელ გლეხობას. ყველა მსხვილი წამოწყებები, ფაბრიკა, ქარხნები გადავიდა რევოლიუციონურ სახელმწიფოს ხელში და შეიქმნა მშრომელთა ხალხის საკუთრება.

თავისი სამი წელზე მეტი დაუღალავი მუშაობით საბჭოთა ხელისუფლებამ აყვავებისა და აღორძინების გზაზე დააყენა მენშევიკების მიერ აწიოკებული და აოხრებული მხარე. თავისი შემოქმედებითი მუშაობით კომუნისტურ პარტიამ და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ ყველა მშრომელს აუხილა თვალები და დაანახვა მათ თუ ვინ არის მისი მტერი და ვინ მეგობარი. საქართველოს მუშები და გლეხები დარწმუნდენ მენშევიკების მოღალატურ კონტრრევოლიუციონურ საქმიანობაში და სამუდამოთ ზურგი შეაქციეს მათ. რაც იყო პატიოსანი და რევოლიუციონურ მენშევიკურ პარტიაში ჩამოსცილდა ამ გახრწნილ და გათახსირებულ პარტიას და შეუერთდა მშრომელთა რევოლიუციონურ ოჯახს. მენშევიკურ პარტიაში დარჩა მხოლოდ თავად-აზნაურებისა და ვაჭრების შვილები, მიკიტნები და ყველა ჯურის ავანტიურის ნაძირალები, რომელთა პროფესიას შეადგენს ძარცვა-გლეჯა და მშვიდობიან შრომის დარღვევა.

მიუხედავათ საბოლოო გახრწნისა და დაშლისა, მენშევიკური პარტია მაინც განაგრძობს ბრძოლას საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. მის დასაყრდნობ საძირკველს წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დევნილი ყაჩაღ—მძარცველები, თავად-აზნაურობა და ყველა ისინი, ვინც შეადგენს ხორც მეტს მუშათა კლასის სხეულზე.

ბატონი ნოე ჟორდანიას კარნახით და იმპერიალისტური ანტანტის ლოცვა-კურთხევით მენშევიკური პარტია თავს უყრის ყველა ამ კონტრრევოლიუციონერ ნაფლეთებს და „საქართველოს განთავისუფლების“ სახით თავს ესხმის მშვიდობიან მოსახლეობას და ადგილობრივ ხელისუფლებებს.

ისინი მოუწოდებენ მშრომელთ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლისკენ თავად-აზნაურების, მღვდლებისა და ბურჟუაზიის ძალაუფლების აღსადგენად. მენშევიკური პარტია, რომელიც თავის თავს მუშათა პარტიას უწოდებს, იმ სოფლებში“ სადაც მათი ბანდები კი შევიდენ, ისინი მართავდენ წირვას ეკლესიებში და მოუწოდებდენ მღვდლებისა და მდიდრების საკეთილდღეოთ სარწმუნოების აღდგენას. ამაზე მეტი გათახსირება და გახრწნა შეუძლებელია.

მენშევიკები სასტიკად დამარცხდენ თავის იმედებში. არც ერთი გლეხი, არც ერთი პატიოსანი მშრომელი მათ არ გაყვა.

მენშევიკებს მხარი დაუჭირეს მხოლოდ თითო ოროლა გაბოროტებულ პირებმა, რომელთა ოცნებას დაბადებიდან შეადგენდა მშრომელთა ყვლეფა და ძარცვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაუნდობელი ხელით მყისვე ბოლო მოუღო ბანდიტ—მენშევიკების გამოსვლას.

დღეს მთელ რესპუბლიკაში უკვე აღდგენილია წესრიგი და ავანტიურის ყველა მეთაურები და წინამძღოლნი იმყოფებიან მუშურ-გლეხური ხელისუფლების ხელში.

ბევრმა მათგანმა უკვე იწვნიე საბჭოთა ხელისუფლების მასხვრალი ხალი. ასეთივე ბედი მოელის დანარჩენებსაც.

მენშევიკური ავანტიურის ასეთი სწრაფი, სიზმარისებური ლიკვიდაცია აიხსნება იმ გარემოებით, რომ ავანტიურისტების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად აღსდგა როგორც ერთი მთელი მშრომელთა საქართველო.

ღირსეულად იდგა თავის სადარაჯოზე ქართული დივიზიების ყველა ნაწილები. ჩვენმა ახალგაზრდა მუშურ-გლეხურმა ჯარმა ჩინებულად შეასრულა თავისი რევოლიუციონური ვალდებულება.

ყოველგან ის საშინელ რისხვათ მოევლინა მშრომელი ხალხის მტრებს. მან ერთხელ და სამუდამოთ აგრძნობინა ჩვენ მტრებს, რომ საბჭოთა საქართველოს ყავს მტკიცე და ერთგული დამცველი ქართული წითელი ჯარი.

მენშევიკების ავანტიურა სასტიკად დამარცხდა. მათ ვერ უშველა

მენშევიკების ავანტიურა და საფრანგეთი

„ესტ ეროპი“ს სააგენტო აქვეყნებს ამერიკის ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს ამ დღეებში საქართველოში მომხდარი „აჯანყება“ მოწყობილიყოს საფრანგეთის თაოსნობით, რომელმაც ვითომც განაცხადა, რომ ის არ იცნობს საბჭოთა მთავრობას, სანამ არ იქნება შეცვლილი რეჟიმი საქართველოშიო.“

„ესტ ეროპის“ სააგენტო აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავრობას არავითარი კავშირი არ ჰქონია საქართველოში მომხდარ „აჯანყებასთან“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲒᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

4 სექტემბერს საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა დააპატიმრეს შემდეგი პირები:

1) პარიტეტულ კომიტეტის (ეგრედ წოდებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი") თავმჯდომარე და მენშევიკურ ავანტიურის ხელმძღვანელი თავადი ᲙᲝᲢᲔ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

2) პარიტეტული კომიტეტის წევრი და ნაციონალ-დემოკრატების ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი თავადი ᲘᲐᲡᲝᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

3) მენშევიკების ცეკას სამხედრო კომისიის წევრი თავადი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲜᲝᲠᲘᲐ.

4) პარიტეტულ კომიტეტის წევრი ნაციონალ-დემოკრატთა პარტიიდან— აზნაური ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲘᲨᲮᲜᲔᲚᲘ.

5) პარიტეტულ კომიტეტის წევრი მემარჯვენე ესერების პარტიიდან— ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲝᲩᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია.

ტფილისი, 4 სექტემბერი 1924 წ.

ვერც ანტანტის ოქროს ფრანკებმა, ვერც ჩოლოყაშვილის ბანდებმა.

ის დამარცხდა სამუდამოთ საქართველოში.

მარცხდება ის მთელ მსოფლიოშიც. დღითი დღე სოციალ-გამყიდველების რიგები კლებულობს და მუშათა მასები გადადიან კომუნისტური პარტიის მხარეზე. შორს არ არის ის მომენტი, როდესაც ბურჟუაზიის ბატონობას მოეღება ბოლო და მათ თან გაყვებიან მათი უერთგულესი მონა მორჩილნი მენშევიკები.

სიკვდილი საერთაშორისო ბურჟუაზიას!

სიკვდილი საერთაშორისო სოციალ-გამყიდველებს!

სიკვდილი საქართველოს მენშევიკებს!

კრულვა და რისხვა მშრომელი ხალხის მტრებს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

გაუმარჯოს მუშათა კლასის დიქტატურას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო წითელ არმიას!

გაუმარჯოს ქართული წითელი არმიის არწივებს!

პირველი და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებები.

ᲕᲘᲜ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ „ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ"?

როგორც ჭიათურიდან მოსულ ამბებიდან ვიცით და იქიდან ჩამოსული ამხანაგებიც გადმოგვცემენ, ჭიათურის „აჯანყებულები" მთლიანად ეკუთვნოდენ საჩხერე-ჭიათურის რაიონის თავად-აზნაურებს, ყოფილ ოფიცრებს და გაკრეჭილ მღვდლებს.

თავის-თავად ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სხვა არავინ წამოვიდოდა; გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ ეს რაიონი სწორეთ ასეთი ოხრებით არის სავსე.

მთელი ზემო-იმერეთის თავად-აზნაურების ბუდეს, დედულეთ-მამულეთს ეს რაიონი წარმოადგენს. განსაკუთრებით ღირს შესანიშნავია ამ მხრით საჩხერის კუთხე, სადაც ბრწყინვალე წოდების წერეთლობა მოსახლეობს.

ცხოვრების ჩარხის უკუღმა ტრიალის დროს სულ ეხლახან წარსულში აქაური გლეხი ისე იყო დამოკიდებული ყოფილ თავის მებატონეზე, როგორც ადამიანი საჭმელზე და სასმელზე.

თუ „ბატონი" მოისურვებდა ერთი თვალის დახამხამებით შეეძლო თუ გინდ რამოდენიმე კომლი გლეხის სრული მოსპობა.

ამის მიზეზი იყო ჯერ ერთი ის რომ ადგილობრივ გლეხობას ერთი სამწვადე მიწაც არ ქონდა, მაშინ როდესაც თავადებს თავზე საბნევათ მოეპოებოდათ ყოველივე.

ეს აიძულებდა გლეხს არამც თუ სანახევროდ აელო მიწა, არამედ მისულიყო თავადის კარზე, ემუშავნა წლიდან წლამდე და ორი ლუკმა ცივი პური ძლივს ეღირსებოდა.

მენშევიკების ბატონობის დროს გლეხის მდგომარეობა ასეთივე დარჩა.

მე მახსოვს ამ რაიონების გლეხობამ ძალით წაიღო ზოგიერთი მემამულეების მიწები, მაგრამ მემამულეებს სასწრაფოთ გამოუჩნდათ ქირისუფალი, მაშინდელი მთავრობის კაცი და მიწები ცემა ტყეპით უკანვე დააბრუნებიეს.

საბჭოთა ხელისუფლება კი სულ სხვანაირად მოიქცა. ჩვენ პირველ რიგში ჩამოვართვით მემამულეებს მიწები და იგი თავის ნამდვილ მეპატრონეს—გლეხს მივეცით.

თავადებს ქონდათ აუარება სასახლე—ოდები და დარბაზები.

ეს სასახლეები ჩამოვართვით მათ და შიგ ან დასასვენებელი სახლი გავხსენით, ან სკოლა, ან საავადმყოფო, ერთი სიტყვით, ის რაც თავადს ეკუთვნოდა, მაგრამ გლეხის სისხლით და ოფლით იყო აშენებული-ჩამოვართვით და გლეხობას დავურიგეთ.

და განა ამას შეურიგდებოდა თავადობა და აზნაურობა?

ვერა, ვერ შეურიგდებოდა...

ამიტომაც განიზრახეს მათ წართმეული მიწების უკანვე წაღება.

მაგრამ არც გლეხობა შეურიგდება მიწების წართმევას, გლეხობას არ სურს ბატონ-ყმობის დაბრუნება.

და ის არ გაყვა ამ ბატონ-ყმობის დაბრუნების მოტრფიალეთ: მენშევიკებს, ფედერალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებს და სხვათ.

არა გაყვა მათ და მახვილით ხელში დაიცვა თავისი ხაკუთარი თავი, დაიცვა თავისი მთავრობა მუშურ გლეხური ხელისუფლება.

ძირს მუშებისა და ღარიბი გლეხობის მტერი: თავადები, აზნაურები, მღვდლები და ბერები.

გაუმარჯოს მშრომელ ხალხს და ამ მშრომელი ხალხის ხელისუფლებას— საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ლახტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ფშავებსა და ხევსურებს.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ! საქართველოს მუშებისა და გლეხების სახელით მოგმართავთ თქვენ.

საქართველოს მშრომელი ხალხის მტრებმა, მდიდრებმა და მუქთახორებმა ყაჩაღ მენშევიკების მეთაურობით მოინდომეს თავიანთი დაკარგული ბატონობის აღდგენა. მათ სურთ, რომ ის მიწები, რომელიც ჩვენ წავართვით მდიდრებს და გადავეცით გლეხებს, ხელახლა უკან დაიბრუნონ. ამიტომ მათ სურდათ გამოეწვიათ სისხლის ღვრა ჩვენ მიწა-წყალზე და მოახდინეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში შეიარაღებული გამოსვლები მშრომელი ხალხის და მის მთავრობის წინააღმდეგ. ქართველმა მუშებმა და გლეხებმა თავისი საბჭოთა მთავრობის დახმარებით კეტებით გარეკა ისინი, მათი ნაწილი დანებდა მთავრობას და მოითხოვს პატიებას, ნაწილი ამოწყვიტა ხალხმა. გაქცეულებმა კი მიაშურეს მთებს თავის დასამალავათ და სასტიკი სასჯელის თავიდან ასაცილებლათ.

ამხანაგებო! ჩვენი მუშებისა და გლეხების გამარჯვება, ეს თქვენი გამარჯვებაც არის; მშრომელი ხალხის განთავისუფლება მუქთახორებსა და მენშევიკებისაგან—ეს თქვენი განთავისუფლება და კეთილდღეობა არის. ამიტომ საქართველოს მშრომელ ხალხთან ერთად თქვენც უნდა შეუწყოთ ხელი ამ ყაჩაღების განადგურების და აჯანყებული ბრბოების და მენშევიკების გასრესას.

თუ სოფლებში გამოვლენ ეს დამარცხებული ყაჩაღები, თქვენი მოვალეობაა იარაღი აყაროთ მათ და გადასცეთ საბჭოთა მთავრობას.

ქართველი მშრომელი ხალხი და მისი მთავრობა ყოველთვის მოწადინებული იყო და არის, რომ თქვენთან კეთილი განწყობილება იქონიონ, ეს საქმით დაამტკიცა საბჭოთა მთავრობამ, მან აგიშენათ თქვენ შკოლები, შეაკეთა გზები, ერთი სიტყვით ის ცდილობს გააუმჯობესოს თქვენი ცხოვრება. მაგრამ ამ საქმეში ჩვენ ხელს გვიშლიან ხალხის მტრები ჩოლოყაშვილის მეთაურობით. გაიხსენეთ, რომ ამას წინეთ აი ამ ჩოლოყაშვილმა გადაგვკიდა ჩვენ ერთმანეთს. ეს აღარ უნდა განმეორდეს და ჩოლოყაშვილმა და აქედან გამოქცეულმა ყაჩაღებმა აღარ უნდა მოგვატყუოს ჩვენ.

ამიტომ საერთო ძალით უნდა დავამარცხოთ ყველა, ვისაც უნდათ ამ ჩვენი საერთო საქმის ჩაშლა.

სიკვდილი ქართველი ხალხის და მასთან ფშავ-ხევსურის მშრომელი ხალხის მტრებს!

სიკვდილი მენშევიკებს!

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელი ხალხის დამცველს საბჭოთა მთავრობას!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ.

დაწერილია თბილისში, სასახლე.

ხმაურობა ჟენევაში.

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ჟენევის ბირჟის ცნობის თანახმად, ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე მყოფ ქართველ (მენშევიკ) დელეგატმა მიიღო დეპეშა, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ „აზერბეიჯანში და საქართველოში იფეთქა აჯანყებამო".

დეპეშაში ნათქვამია, რომ „მთელი საქართველო იმყოფება აჯანყებულთა ხელში, ბათუმის ქუჩებში სწარმოებს სისხლის მღვრელი ბრძოლები და სხვა".

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚ ᲙᲝᲜᲡᲣᲚ ᲚᲐᲛᲐᲜᲘᲐᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

იტალიის კონსულმა თბილისში, მოქალაქე ლამანიამ განაცხადა შემდეგი:

ჩემი ამოცანას არ შეადგენს და მე არ მსურს ლაპარაკი იმ ამბების შინაარსის და მნიშვნელობის შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ დროს საქართველოში: ვილებ რა მხედველობაში, რომ ეს ამბები წარმოადგენენ ეპიზოდებს შინაური პოლიტიკიდან, რომლისგანაც იტალია ყოველთვის შორს იდგა.

შეწუხებული ვარ მხოლოდ იმ შედეგებით, რომელსაც შეიძლება ადგილი ექნეს არა სწორ და გადამეტებულ ცნობების გამო იტალიის სავაჭრო და სამრეწველო წრეებში.

მოვალეთ ვთვლი ჩემს თავს გავფანტო ის ტენდენციოზური ცნობები, რომლებმაც შეიძლება მიაღწია იტალიამდე. 30 აგვისტოს ვიყავი რა დარწმუნებული, რომ ის ღონისძიებები, რომლებიც მიიღო ადგილობრივმა მთავრობამ მიაღწევენ შედეგებს, მე ვაცნობე ამის შესახებ იტალიის საელჩოს მოსკოვში და შემდეგ კი სტამბოლში. შევატყობინე კონტრრევოლიუციის გამოსვლების შესახებ, რომლებიც ჩემის აზრით, უშედეგოთ უნდა დამთვრებულიყო. ამასთან ერთად მე დაუმატე, რომ ყველგან ენერგიულათ და საჩქაროდ აღდგენილი იქნა წესრიგი და რომ საზოგადოებრივი აზრი არ თანაუგრძნობს ავანტიურას.

მე იმედს გამოვსთქვამ, რომ ეს ჩემი ცნობები გაფანტავენ იმ ეჭვიანობას და შიშს, რომელიც შეიძლება წარმოშობილიყო იტალიის სავაჭრო და სამრეწველო წრეებში იტალიის და საბჭოთა საქართველოს ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც მეტად გაფართოვდა უკანასკნელ დროს, არ განიცდის იმ შერყევას, რომელსაც მოელოდენ 28 და 29 აგვისტოს ამბების გამომწვევნი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲡ ᲐᲛᲮ. ᲯᲐᲜᲒᲕᲔᲚᲐᲫᲔᲡ.

თქვენს მიერ გამოგზავნილი პოლიტ-მოხსენება მივიღეთ. ჩვენ ძლიერ მოხარული ვართ, რომ კრიტიკულ მომენტში ცხენოსანი ლეგიონი თავის სიმაღლეზე სდგას. გვაფრთოვანებს ის გარამოება, რომ რევოლიუციონური სული და საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავგანწირვა კვლავ უდრეკია ლეგიონის უფ-პოლიტ და წითელ არმიელთა შემადგენლობაში. მარად გახსოვდეთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ თქვენი რევოლიუციონურ ენერგიასა და გამჭრიახობაზე დამოკიდებულია ქართველი მშრომელი გლეხ-კაცობისა და მუშების ბედიღბალი. თქვენს მიერ მოწვდილ ცნობებიდან სჩანს, რომ ადგილობრივი გლეხ-კაცობა დიდათ აღფრთოვანებულია თქვენით. პოლიტ-განყოფილება იმედოვნებს, რომ აი ამ დროს, როდესაც თავზე ხელაღებული, სინდისს და ნამუს დაკარგული მშრომელი ხალხის მტრები გადმოდიან შეტევაზე, თქვენ კვლავ ენერგიულად განაგრძნობთ ბრძოლას ჩვენი მტრების საბედშაოთ და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

მარად გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ დღეს ქართველი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ იბრძვის ამავე ხალხის უმცირესი ნაწილი, დიდი ხნით გახრწნილი თავად-აზნაურობა, საქართველოს ბურჟუაზია, სამღვდელოება, ინტელიგენციის ერთი ნაწილი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ამავე თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიისა და ყველა ამათ მეთაურობს და ხელმძღვანელობს მენშევიკური პარტია, რომელმაც უკვე დიდი ხანია ყოველ გვარი კავშირი გასწყვიტა მუშათა კლასთან და გადაიქცა ნამდვილ მის მოსისხლე მტრად. მენშევიკური პარტია ამას სჩადის, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, მაგრამ დარწმუნებული იყავით, ძვირფასო ამხანაგებო, რომ სოც. დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიის დღენი დათვლილია მთელ მსოფლიოში და შორს არ არის ის დრო, როდესაც მათ ბოლო სამუდამოთ მოეღებათ.

გადაეცით აგრეთვე უფ-პოლიტ შემადგენლობას და წითელ არმიელებს, რომ ყაჩაღური გამოსვლა მენშევიკური პარტიისა საქართველოში სასტიკად დამარცხდა. მშრომელი ხალხის მტრებს მუსრი ევლება და ჩვენი დივიზიის დანარჩენი ნაწილები ისე მამაცურად იბრძვიან და მტკიცეთ სდგანან საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად, როგორც თქვენ.

გახსოვდეთ აგრეთვე, ამხანაგებო, რომ მენშევიკურ პარტიის ავანტიურას და ყაჩაღურ მოქმედებას არც ერთმა მუშამ, არც ერთმა გლეხმა და პატიოსან მშრომელმა მხარი არ დაუჭირა. მენშევიკებმა ვერ შესძლეს მთელს საქართველოში ვერც-ერთი ქარხნის მუშების აჯანყება, ან და გლეხების მასიური გამოსვლა: მათ პროვოკაციას, მათ გამოსვლას, როგორც უკვე ზევით მოვიხსენიე, საქართველოს მშრომელმა ხალხმა მხარი არ დაუჭირა, ამიტომ იყო რომ ასე სასწრაფოთ მათ ავანტიურას, მათ გამოსვლას ბოლო მოეღო.

კარგათ გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ მენშევიკურ ავანტიურას და ყაჩაღობას მხარი დაუჭირა თავად-აზნაურობამ, სამღვდელოებამ, ჩვენი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა და

მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაცია

ქართულ წითელ არმიელების და თბილისის პროლეტარიატის ხმა

ნავთლუღის რაიონის მუშები და წითელ არმიელნი.

ნავთლუღის რაიონის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგმა, წითელ არმიელებთან ერთად, მოისმინა რა ამხ. მამია ორახელაშვილის საინფორმაციო მოხსენება—საქართველოში მენშევიკ-თავად-აზნაურულ ავანტიურის შესახებ, რომელთაც სურდათ ჩაეღრჩოთ სისხლში მუშურ-გლეხური ხელისუფლება,—მიტინგი ერთხმად ადასტურებს, რომ მენშევიკ-ავანტიურისტებს დიდი ხანია ჩამოშორდა ფართო მასა მშრომელი ხალხისა და დაადგა იმ სწორე გზაზედ, რომელსაც მისდევს კომუნისტური პარტია. მუშა-მოსამსახურეები და წითელ არმიელნი დარწმუნებულნი ვართ საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში და ვერავითარ, ანტი-საბჭოთა ძალა, სხვა და სხვა ნაძირალა ელემენტები ვერ ჩამოაგდებენ საბჭოთა ხელისუფლებას, ვინაიდან კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი სწორი გზის მატარებელი პროლეტარიატის საბედნიეროთ და არის მოსისხლე მტერი ყველა პარაზიტებისა. მთელი საქართველოს მუშათა კლასი ზიზღს უცხადებს მენშევიკ თავად-აზნაურებს ავანტიურას და მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რათა ყველა ავანტიურისტები და თავად-აზნაურობა დაისაჯონ პროლეტარიატის მთელი რევოლიუციონური სისასტიკით. ჩვენ, ნავთლუღის მუშა-მოსამსახურენი და წითელ-არმიელნი, ვთხოულობთ იქნეს გაწმენდილი საბჭოთა ორგანოები, ანტი-საბჭოთა ელემენტებიდან.

ძირს მოღალატე—მენშევიკები და მათი მოკავშირე—თავად-აზნაურები!

სიკვდილი ავანტიურისტებს!

ძირს მენშევიკების დამქაში სამღვდელოება!

შავი სამარე—ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებს.

ძირს საერთაშორისო მენშევიკები და მისი ყვითელი შტაბი მე-2 ინტერნაციონალი:

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.

რას ამბობენ არსენალის მუშები.

ხუთშაბათს, 4 სექტემბერს შესდგა არსენალის მუშების საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. მ. კახიანმა მენშევიკურ-ბანდიტურ გამოსვლების შესახებ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქარხნის მუშები ყველა დიდის გამჯრიახობით შეხვდენ მენშევიკ-ბანდიტურ გამოსვლებს. უპარტიო მუშები ისწრაფოდენ თოფები აეღოთ ხელში და დამდგარიყვნენ სადარაჯოზე მუშურ-გლეხურ ხელისუფლების და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ.

დღესაც დიდის ყურადღებით შეხვდენ ამხ. კახიანის მოხსენებას, რომელმაც განუმარტა მათ, თუ რა ასულდგმულებდათ, რა მიზეზები ჰქონდათ დასახული და რა შედეგებს მიაღწიეს მენშევიკ-თავად-შავრაზმელებმა.

მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

არსენალის მუშების საერთო კრება, მოისმინა რა მოხსენება ამხ. კახიანისა—მენშევიკურ-თავად - აზნაურულ ავანტიურის შესახებ ადგენს: საბჭოთა ხელისუფლების შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ, მას შემდეგ რაც ინგლისმა, ინგლისის მუშათა კლასის ზედგავლენით, ხელი მოაწერა ინგლის-საბჭოთა სავაჭრო გენერალურ ხელშეკრულებას, მენშევიკურმა პარტიამ ყოველგვარი იმედები დაჰკარგა ძალა-უფლების დაბრუნებაზე საქართველოში. დიდი ხნის გათვალისწინებული გეგმების განხორციელება მათ განიზრახეს ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის ხანაში. მენშევიკების გარშემო თავი მოიკრიბეს საქართველოს თავად-აზნაურებმა, სამღვდელოებამ და საზოგადოთ საქართველოს მშრომელთა ყველა კლასობრივმა მტრებმა: რამდენიმე მაზრებში ამ თავზე ხელაღებულმა ავანტიურისტებმა მოახდინეს „აჯანყებ“, რომელშიაც ვერ შესძლეს მონაწილეობა მიეღებინებიათ ვერც ერთი მუშა-გლეხებისათვის. თვით მუშების და გლეხების მახვილით იქნა ჩაქრობილი ეს თავხედური განზრახვა ამ მუშათა კლასის ჯალათებისა. არსენალის მუშები მივესალმებით ჩვენ ერთგულ მთავრობას, რომელმაც სიტყვა-სიტყვით აასრულა მუშათა მოთხოვნილება და სასტიკათ დასაჯა მენშევიკური ბანდიტები-თავად-აზნაურები. არსენალის მუშები სთხოვენ მთავრობას მომავალშიც ცეცხლით და მახვილით გაუმასპინძლდენ იმ არამზადებს რომლებიც, ხელს უშლიან საბჭოთა საქართველოს მშვიდობიან აღმშენებლობას! გაუმარჯოს მუშების მტკიცე ნებას! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! სიკვდილი და განადგურება მენშევიკურ და თავად-აზნაურულ ბანდიტებს!

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებ ის უფროსს ამხ. კვირიკა ძეს.

ქართულ, სომხურ და აზერბეიჯანულ სამხედრო პოლიტ-სკოლების კურსანტების და პოლიტ-მომუშავეთა გაერთიანებული კრება, ბანაკიდან სომხურ პოლიტ-სკოლის გასვლის დღეს, თქვენი სახით ესალმება ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებას, რომელსაც დაკისრებული აქვს ქართულ წითელ არმიის აღმშენებლობის მძიმე ამოცანა.

კრება ადასტურებს, რომ წითელ ნაციონალურ ნაწილების დაახლოვების და მჭიდროდ დაკავშირების საქმის პირველი საფუძველი უკვე ჩაყრილია, რასაც მომავალში უფრო გააძლიერებენ და გაამტკიცებენ, რითაც ხელს შეუწყობენ წითელ-არმიის აღმშენებლობის საქმეს.

გაუმარჯოს ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებას!

კრების თავმჯდ. **მათითაიშვილი.**

ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ მიმართა ხალხს შემდეგი განცხადებით:

განცხადება

საქართვ. დამოუკიდებლობის კოიიტეტისა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დღიდან თავის არსებობისა, ისახავდა რა მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, დარწმუნებული იყო, რომ ის შესძლებდა ამ მიზნით ქართველი ერის შეიარაღებულ გამოსვლის მომზადებას და მოხდენას. ამისთვის დამოუკიდებლობის კ. მასში წარმოდგენილ პარტიათა საშუალებით რამოდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო მუშაობას და აიარაღებდა რაზმებს. მეორე მხრით საზღვარ გარეთელ ბიუროს მეოხებით სცდილობდა შექმნა ევროპიულ სახელმწიფოებში და განსაკუთრებით საფრანგეთ-ინგლისში სათანადო პირობები დახმარებისათვის. მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა, რის გამო ჩვენ დავმარცხდით. მასსიური ორგანიზაციული გამოსვლა, რომელსაც ველოდით არ მოხდა, ხალხის ფართო მასსამ ჩვენ მხარი არ დაგვიჭირა, შეგვრჩა მხოლოდ ის აქტიური ძალები, რომელიც ერის ზედაფენებში იყო მოგროვილი და უმეტეს ნაწილად ტყეებში გახიზნული. ჩვენი გამოსვლა ფაქტიურად გადაიქცა ჩვენდაუნებურ ავანტიურად, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ხელისუფლების რეპრესიები, რის პასუხისმგებლობა სავსებით ჩვენ გვედება.

აღიარებს რა თავის შეცდომას ამ გამოსვლის მოწყობით დამოუკიდებლობის კომიტეტი აცხადებს, რომ დღეიდან შეიარაღებულ ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება დამღუპველი და სავსებით უპერსპექტივო ქართველი ერისთვის. ამის გამო დამოუკიდებლობის კომიტეტი მიმართავს კომიტეტში შემავალ პარტიებს და ყველა იმ შეიარაღებულ რაზმებს, რომელნიც გაიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმსაც წინადადებით:

დაუყონებლივ ხელი აიღონ არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებზე, დაშალონ სავსებით ყველა შეიარაღებული ძალები. იარაღი ჩააბარონ მთავრობის ორგანოებს და მთავრობისადმი მორჩილებით შეეცადონ გამოსწორებას იმ უდიდესი უბედურებისა, რომელიც მოუტანა ქართველ ერს ჩვენმა გამოსვლამ. ამის შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტს, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად დაშლილად ვაცხადებთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე:
კ. ანდრონიკაშვილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მდივანი:
ი. ჯავახიშვილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი:
მიხ. ბოჭორიშვილი.

საქართველოს სოც. დემოკ. მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი **შ. ჯინორია.**

საქ. ეროვნ. დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი.
მ. იმხნელი.

5 სექტემბერი 1924 წ.

ტფილისის პროლეტარიატის დემონსტრაცია.

მენშევიკური „გამოსვლების“ და ავანტიურის პროტესტის ნიშნათ გუშინ წინ, ჩვენს წითელ დედა-ქალაქ ტფილისში შესდგა ტფილისის პროლეტარიატის დემონსტრაცია.

შუადღის 1-ლი საათიდან მუშებმა მიატოვეს თავის დაზგები და დაიწყეს თავ-თავის რაიონებში შეკრება, საიდანაც მწყობრი რიგებით გაემართნენ რუსთაველის პროსპექტის მიმართულებით.

განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ახდენდენ რკინის გზელი მუშები, რომელთაც წინ მიუძღოდნენ შეიარაღებული ამხანაგები და ორკესტრი.

დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე ქალთა შეიარაღებული რაზმიც.

აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ, საიდანაც დემონსტრანტები გაემართნენ სასახლისაკენ.

სასახლის აივანზე თავი მოეყარა, იმ ჟამად დასრულებულ ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიის დელეგატებს.

ამხ. მ. ცხაკაიას გამოსვლა.

მხცოვანი რევოლიუციონერის მიხას გამოჩენა და ტაშის გრიალი ერთი იყო. ხალხი იძახოდა: ძირს ბურჟუაზიის ლაქიები, ძირს მენშევიზმი, სიკვდილი მოღალატეებს და სხვა. დროშები და პლაკატები ერთმანეთში ირეოდა ტყესავით.

ამხ. მიხა ცხაკაიამ მიმართა დემონსტრანტებს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, თუ რა დაბრკოლებებში და პირობებში მოუხდა საბჭოთა ხელისუფლებას ხელი მიეყო პროლეტარული სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის და რა მემკვიდრეობა დაუტოვა მას წინანდელმა ბურჟუაზიულმა მთავრობებმა. საქართველოში, ამიერ-კავკასიაში და საზოგადოთ მთელ ს. ს. რ. კავშირში პროლეტარიატმა დაამარცხა მტერი ყველა ფრონტებზე და ხელი მიჰყო მშვიდობიან აღმშენებლობას, რომელშიაც მას ხელს უშლიან მხოლოთ გამყიდველი მენშევიკები და სხვა რეაქციონერები.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვები დაჰფარა ხალხის „ვაშამ“ და ძახილმა:

— სიკვდილი მტერს! სასტიკი სასჯელი ყველა ავანტიურისტებს.

აქედან ხალხი მიემართება ერევნის მოედნისაკენ, სადაც სიტყვებს ამბობენ ამხ. არაქელ ოქუაშვილი, ლადო სუხიშვილი, ქავთარაძე, გ. ნუცუბიძე, ამხ. შელდიაევი, ზამთარაშვილი და სხვები.

რადგანაც დემონსტრაციაზე აუარებელი ხალხი იყო და მოუხერხებელი შეიქნა ერთად თავის მოყრა, ამიტომ დემონსტრაცია დაიყო რაიონებათ და ისე იწყებოდა მიტინგები.

დემონსტრაციები დასრულდა საღამოს 5 საათზე.

ამ უკანასკნელებიდან გამოსულმა ოფიცრობამ. ირკვევა, რომ აი ყველა ეს გახრწნილი ელემენტები თავს იყრიან მენშევიკურ პარტიის გარშემო და მენშევიკური პარტია აი ამ გათახსირებულ ელემენტების საშვალებით სცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას საქართველოში, მაგრამ ამაოდ.

მუდამ გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია და ძლიერდება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. არ არსებობს ძალა, რომელმაც უნდა შესძლოს საბჭოთა რესპუბლიკების დამარცხება.

მუდამ გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ მთელ მსოფლიოში მუშათა კლასი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თანდათანობით ძლიერდება, ემზადება სასტიკ შეტევისათვის და დღეს თუ ხვალ ის სასიკვდილოთ ლახვარს ჩასცემს დამპყრობულ და პირზე დორბლ მორეულ ბურჟუაზიას.

დღეს, ძვირფასო ამხანაგებო, იმდენათ დასუსტებული და ღონე მიხდილია საერთაშორისო ბურჟუაზია, რომ ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაბედავს ერთი თოფიც კი გამოისროლოს ჩვენსკენ; ამიტომ არის, რომ ჩვენ დიდის იმედით, დიდის აღფრთოვანებით შევყურებთ მომავალს და ვიცით, რომ ეს მომავალი ჩვენ გვეკუთვნის, და თუ კი დღეს ეს დრო მოჭმული და ხანგადასული ჩვენი მტრები ხანდახან მოისურვებენ ჩვენს კბენას, აი ამ წამში ჩვენი რისხვა მათ სასტიკად თავზე უნდა დაატყდეს. იცოდეთ, რომ აქ შებრალებას, დათმობას, ლმობიერებას ადგილი არ უნდა ქონდეს; რაც შეიძლება მეტი სისასტიკე, მეტი სისხლი დაღვაროს მათი, ვინაიდან უკეთესია, რომ საშინელებას ერთხელ მოეღოს ბოლო, ვიდრე ქვეყანაზე არსებობდეს მუდმივი საშინელება, მუდმივი ტანჯვა.

ჩვენი სურვილი და ნდომა ის იქნებოდა, რომ თქვენ ყოფილიყავით შეუბრალებელნი სამოქალაქო ომის დროს და ერთის. დაკვრით მოგესპოთ, გაგენადგურებიათ ყველა ისინი, ვინც კი მშრომელი ხალხის მტერია. ეს არა მარტო სურვილია ჩვენი, არამედ ასეა კიდეც სინამდვილეში, ეს თქვენ კიდეც დაამტკიცეთ.

ძვირფასო ამხანაგებო, გამოიბით ასი თვალი, ასი ყური და ათასი ხელი, რომ თვით ხსენებაც არ დარჩეს მშრომელი ხალხის მტრებისა ამ ქვეყანაზე.

მაშ წინ, ძვირფასო ამხანაგებო!

სიკვდილი მსოფლიო კაპიტალს.

სიკვდილი საერთაშორისო სოც. დემოკრატიას.

სიკვდილი საქართველოს მშრომელი ხალხის მტრებს.

სიკვდილი მენშევიკურ პარტიას.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხს.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების წითელ არმიას.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას.

გაუმარჯოს ქართულ ცხენოსან ლეგიონის წითელ არწივებს.

ვ ა შ ა, ძვირფასო ამხანაგებო!

რევოლიუციონური სალამით:

დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი:

არ. კვირიკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ამბები.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების გარშემო.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ.

მე არ მგონია, რომ თემთა პალატა ხელშეკრულების დამტკიცების წინააღმდეგ წავიდეს. ბევრი ლიბერალი ხელშეკრულების სასარგებლოდ არის განწყობილი. აურზაური და უკმაყოფილებას ყოველთვის კი არ მოყვება ცუდი შედეგი კენჭისყრაში.

გარდა ამის ხელშეკრულების უარყოფამ შეიძლება გამოიწვიოს მეტად სერიოზული შედეგები საერთაშორისო მდგომარეობაში. ყოველი მოწინააღმდეგე ხელშეკრულებისა უნდა გრძნობდეს პასუხის მგებლობას, ვინაიდან წინააღმდეგობით ის ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის გამიჯვნას დანარჩენ ქვეყნებიდან და ხელს შეუწყობს ევროპის გაყოფას ორ მტრულ ბანაკად. ამას გარდა ის ხელს შეუწყობს უმუშევრობის ზრდას და დიდ ზიანს მოუტანს ევროპის მშვიდობიანობას.

საფრანგეთის პრესა სავინკოვის შესახებ.

„დრაპო რუჟ“-ი და „ჰუმანიტე“-ში მოთავსებულია ვრცელი ცნობები სავინკოვის პროცესის შესახებ.

გაზეთი „დეპეშდე ტულუზ“-ში წერილია შემდეგი სათაურით: „როგორ იხსნა თავი სავინკოვმა“, რომელშიდაც მოყვანილია უკანასკნელი სიტყვა ყოველ-გვარ კომენტარიების გარეშე.

„ერ ნუველ“-ში არის წერილი „ფარისევლობა“—ასეთი სათაურით, სადაც აღწერილია სავინკოვის მდიდრული ცხოვრება პარიზში.

დასასრულ გაზეთი დასძენს: სავინკოვმა სოციალიტსებს გადუდგა რომ გამხდარიყო ბურჟუა, ხოლო ამ ჟამად ღალატობს ბურჟუაზიას რომ ხელ-ახლავე გახდეს სოციალისტიო.

საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებში.

სურსათის გაძვირება ესტონეთში.

ესტონეთში უკანასკნელათ ძლიერ აიწია ფასებმა პირველი მოთხოვნილებების საგნებზე. საზოგადოთ ფასებმა აიწია 20 პროცენტით.

პოლონეთის განაპირა ადგილებში.

პოლონეთის განაპირა ადგილებში ვოევოდებათ გენერლების დანიშვნის გამო დიდი მღელვარებაა უკრაინის და ბელორუსიის მოსახლეობაში.

რუმინეთი შიშობს.

რუმინეთის ნაციონალური პარტიის გაზეთი სწერს, რომ რუმინეთმა ფართოდ უნდა აწარმოოს საზღვაო ფლოტის აღმშენებლობა. რადგანაც თუ საფრანგეთმა დაუბრუნა ს. ს. რ. კ. ვრანგელის მიერ გატაცებული შავი ზღვის ფლოტი, მაშინ წითელი ფლოტის ხელში გადავა ჰეგემონია შავ ზღვაზე.

გერმანია მოკავშირეთა უღელ ქვეშ.

სესხი გერმანიისათვის.

პარიზის „ჟურნალი“ იუწყება კლემენტალსა და მორგანის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების შესახებ და აცხადებს, რომ პარიზის ფინანსიურ წრეებში როგორც ჩანს წინააღმდეგი არიან სესხში მონაწილეობისა.

საოკუპაციო რაიონებში.

ესენში, ბოხუმში, დიუსელდორფში, დორტმუნდში და რეკლინგაუზენში დაარსებულია ფრანგული საანგენტოები „საფრანგეთის მთავრობის იდეების გასავრცელებლად“.

ჩინეთზე იმპერიალიზმის თავდასხმა.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების გამოსვლა.

„იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ჩინეთის საზოგადოებამ“ მიმართა ჩინეთის რევოლიუციონურ პარტიის-გომიდანის ბელადს-სუნ—იატ-სენს ძმური სალამით. საზოგადოება აღფრთოვანებულია სუნ-იატ-სენის მიერ წარმოებულ ბრძოლით იმპერიალიზმის წინააღმდეგ და უსურვებს მას გამარჯვებას.

საზოგადოებამ იმავე დროს მიმართა მაკდონალდს ინგლისის კონსულის მიერ ჩინეთის ხელისუფლებაზე გადაცემულ ულტიმატუმის შესახებ რომელიც ემუქრება ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებით.

საზოგადოებამ მიმართა აგრეთვე ინგლისის მუშათა პარტიის ბელადს ლანსბერის: „ჩვენ გვახსოვს თქვენი გამოსვლა ჩინეთის სასარგებლოდ. გიგზავნით თქვენ ჩვენი დეპეშის ასლს, რომელიც გაუგზავნა მაკდონალდს, იმ იმედით, რომ თქვენ ჩაერევით ამ საქმეში.

საუბარი ამხ. როტშტეინთან.

საგარეო კომისარიატის კოლეგიის წევრმა როტშტეინმა ჩინეთის შემთხვევების შესახებ პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა: „ეს შემთხვევები მოულოდნელი არ არის. დამნაშავეები ამ საქმეში თვით ევროპის სახელმწიფოებია, რომელთაც არ სურდათ ჩინეთში ყოლოდათ ძლიერი მთავრობა-“ო.

ადგილობრივი ცნობები.

ყოფილი მენშევიკები უკანასკნელ ავანტიურის შესახებ.

ბორჯომის ქარხნების მუშა-მოსამსახურეების მიტინგზე სხვათა შორის გამოვიდენ ყოფილი მენშევიკები. მათ შორის ყოფილი აქტიური წევრი მენშევიკური პარტიისა და დამფუძნებელი კრების—გიორგი გაგლოევი. მან თავის ნათელ სიტყვაში გადმოშალა და დაახასიათა ბანდიტ-მენშევიკების მუშაობის მუხანათური მიზანი.

იტალია.

უნდათ დამორჩილება.

უკვე გამოირკვა, რომ თანამშრომლობა ფაშისტებსა და ლიბერალებს შორის აღარ მოხდება, რადგანაც ფაშისტებს სურთ ეს თანამშრომლობა იმ გვარი იყოს, რომ ლიბერალები დაემორჩილონ ფაშისტებს.

გაამაგრა ოპოზიცია.

იტალიური გაზეთი „ტრიბუნა“ იტყობინება, რომ იტალიელ დემოკრატების ბელადი ჯიოლიტი, რომელიც ამდენიხანი მხარს უჭერდა მუსოლინს, გადავიდა ოპოზიციაში.

გლეხები თვით უმასპინძლდებიან ვერაგებს.

(1-ლ ქ. მ. დ. პოლიტგანის უფროსის მოადგილის საუბარი ჩვენს თანამშრომელთან).

გორის მაზრიდან დაბრუნებულმა, 1-ლ ქ. მ. დ. პოლიტგანის უფროსის მოადგილემ, რომელიც წასული იყო ხსენებულ მაზრაში იქ მომხდარ გამოსვლების გამო, ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ბანდიტები გორის მაზრაშიაც ცდილობდენ მოეწყოთ ძმათა სისხლის მღვრელი შეტაკებები და მშრომელთა სისხლით მოერწყოთ ეს კუთხეც.

მაგრამ მათდა საუბედუროთ მათ ფხიზლად დაუხვდათ რესპუბლიკის მშრომელთა სადარაჯოზე მდგომი ადგილობრივი ხელისუფლება, წითელი არმია და კომუნარები. მათი ვერაგული გამოსვლების მსხვერპლი შეიქნა კავთისხევის აღმასკომის თავმჯდომარე და რამოდენიმე ამხანაგი. „აჯანყების“ მოთავეებმა გარდა თავად აზნაურობისა თავის რიგებში ჩაითრიეს სოფლის ჩარჩ-კულაკები და ინტელიგენცია. გაიგო თუ არა ადგილობრივმა გლეხებმა „აჯანყების“ შესახებ, სხვა და სხვა სოფლებიდან ისინი აგზავნიდენ დელეგაციებს შუამდგომლობით—მოგვეცით საშვალება ჩვენ თვით გაუსწორდეთ მოღალატეებსო.

ადგილობრივმა აღმასკომმა ამაზე ნება დართო მათ, რის შემდეგ ხშირი იყო შემთხვევა, რომ გლეხობამ თვით გაუკეთა ლიკვიდაცია „აჯანყებულ“ ბანდებს და გადასცა ისინი მთავრობას. მაზრის ყოველ მხრიდან შემოდის აღმასკომში გლეხთა კრებების რეზოლიუციები, რომლებშიაც ისინი მოითხოვენ ბანდიტების სასტიკად დასჯას.

ბანდების ნაწილი, რომლებიც შეპყრობილ იქნენ მოითხოვდენ პატიებას და აცხადებდენ: ჩვენ მოგვატყუილეს, გვეუბნებოდენ საქართველო დღეს ჩვენს ხელშია, ტფილისში, ბათუმში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში ჩვენი მთავრობა არისო; ჟორდანია ბათუმშია, ჩვენ გვეხმარება საფრანგეთი, ინგლისი და სხვაო. ამრიგად სოფლის ჩარჩ-ვაჭრები და კულაკები, მოტყუილებული მენშევიკ-ბანდიტების მიერ, ხელში უვარდებოდათ ჩვენს რაზმებს და მოითხოვდენ პატიებას.

მაზრის სამხრეთ ოსების მოსახლეობამ, მიიღო თუ არა ცნობები გამოსვლის შესახებ, მაშინვე გამოგზავნა ქვეითი და ცხენოსანი რაზმები ადგილობრივ ხელისუფლების განკარგულებაში ბანდიტების წინააღმდეგ.

ადგილობრივმა სამღვდელოებამ გამოსვლებისთანავე მიაშურა ეკლესიებს და გუნდრუკის კმევითა და ღაღადისით შესთხოვდა მეუფეს „მოეხედა საქართველოს ბედისათვის“. მაგრამ მათი და მათი ძმების იმედები დაიმსხვრა. მთელ მაზრაში გამოსვლები ჩახრჩობილია. ბანდების ნაწილი შეპყრობილ იქნა, ნაწილიც მთებში გაიხიზნა.

№ ლეგიონის მეთაურები, რომლებიც შემჩნეულ იყვნენ კავშირში ბანდიტებთან, წინასწარ დაპატიმრებულ იქმნენ. აღსანიშნავია წითელარმიელების განწყობილება, რომელთაც გამოჰქონდათ კრებებზე რეზოლიუციები და მოითხოვდენ მოღალატე მეთაურთა და ბანდიტების სასტიკად დასჯას.

გლეხთა მოსახლეობიდან მოდიან მოხალისეები და მოითხოვენ რაზმში ჩაწერას ბანდიტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ ჟამად გორის მაზრა სრულიად გაწმენდილია ბანდიტებისაგან, რომლებმაც ისეთი სიძულვილი და შურის ძიების წყურვილი დასტოვეს მშრომელ მოსახლეობის შორის, რომ ყოველი მათი ცდები გამოსვლების მიზნით უნაყოფო იქნება და ყოველი მოღალატე სასტიკად იქნება დასჯილი მშრომელის დაკორძებული ხელით.

ახალი ამბები.

— **წითელ არმიელის კლუბის შეკეთება.** დღეს დაიწყეს ქართულ დივიზიის წითელ არმიელთა ცენტრალური კლუბის საფუძვლიანი შეკეთება.

— **წითელ არმიელთა წერილები.** წითელ არმიელთა სახელზე გაგზავნილი უმარკო წერილები გაცემულ იქნება უფასოთ წითელ არმიელებზე, თუ ისინი წარადგენენ სათანადო მოწმობას თავიანთ ნაწილებიდან.

— **გამოფენა—ბაზარი.** შემოდგომისათვის, განზრახულია მოეწყოს თავისუფლების მოედანზე პატიმართა ნამუშევრების გამოფენა—ბაზარი.

— **გლეხი კოოპერატორები საერთაშორისო გამოფენაზე.** ცეკავშირმა და წარმოკავშირმა გაგზავნა მუშა-გლეხი კოოპერატორები საერთაშორისო კოოპერატიულ გამოფენაზე ქალაქ გენტში (ბელგია.)

— **გლეხთა უპარტიო ყრილობა.** გლეხთა უპარტიო ყრილობამ, რომელიც შესდგა ს. სართიჭალაში (გარე კახეთი) დაადგინა ააშენოს თეატრი და საავათმყოფო.

— **ახალი საბინაო ამხანაგობა.** ტფილისში დაარსდა ახალი საბინაო ამხანაგობა კ. მარქსის და ლადო სუხიშვილის სახელობაზე.

— **გლეხკომების საქმიანობა.** ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა დაადგინა ბაღდათის რაიონში მინერალურ წყლებთან გაიყვანოს დიდი შარა-გზა.

— **მუშების შუამდგომლობა.** ტფილისში არსებულ კოლოფების ქარხნის მუშებმა შუამდგომლობა აღძრეს ცეკავშირის წინაშე, რათა მიეცეთ მათ უფლება გახსნან სოფ. კავხრელში (ქართლი) კოოპერატივი.

— **აგარაკებზე.** ფინანსთა სახ. კომისარიატმა გაუხსნა სესხი ჯანმრთელობის კომისარიატს 22.000 მან. რაოდენობით აგარაკებზე სახელმწიფო საწოლების შენახვის ხარჯების დასაფარავათ.

— **საქართველოს ცაკის სესიაზე.** სექტემბრის შუა რიცხვებისათვის განზრახულ საქართველოს ცაკის სესიაზე, სხვათა შორის დასმული იქნება საკითხი კოოპერაციის შესახებაც.

— **გლეხკომების ცენტ. ბიუროს პლენუმი.** 20 სექტემბრისათვის ტფილისში მოწვეულია საქართველოს გლეხკომების ცენტრ. ბიუროს პლენუმი.

— **რადიო-დეპეშები.** თანახმათ ფ.-ტელ. კომისარიატის ინსტრუქციებისა რადიოთი გაგზავნილ დეპეშისათვის ისეთივე წესებია შემოღებული, როგორც მავთულის დეპეშებისათვის.

ხელოვნების ამბები.

— **წითელი თეატრი.** წითელი თეატრის ქართული სექცია განაახლებს სეზონისათვის სამზადისს 10 სექტემბერს, სეზონი გაიხსნება ოქტომბერში.

— **კონცერტი მუშებისთვის.** დღეს, 6 სექტემბერს პროფკავშირთა კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის დირიჟორობით.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.